თბილისი, 2006 წლის 22 აგვისტო

სს „საქართველოს ბანკმა“ მერილ ლინჩისგან (Merrill Lynch) 25 მილიონი აშშ დოლარი ოდენობის სესხი მიიღო

საქართველოს წამყვანმა უნივერსალურმა ბანკმა, სს „საქართველოს ბანკმა“ (GSE: GEB) დღეს განაცხადა იმის შესახებ, რომ ხელი მოაწერა 25 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის, 364 დღიან არაუზრუნველყოფილ საკრედიტო ხელშეკრულებას „მერილ ლინჩ ინთერნეშენალთან“ (Merrill Lynch International), რომელიც „მერილ ლინჩის“ (Merrill Lynch) ნაწილია (NYSE: MER).

„მოხარული ვარ, რომ „მერილ ლინჩი“ (Merrill Lynch) შეუერთდა იმ ბანკების მცირე ჯგუფს, რომლებთანაც ჩვენ ძირითადი ურთიერთობა გვაქვს. ვიმედოვნებ, რომ მომავალში „მერილ ლინჩთან“ (Merrill Lynch) უფრო მეტ გარიგებებს განვახორციელებთ“, აღნიშნა სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ, *ლადო გურგენიძემ.*

„საქართველოს ბანკის“ შესახებ:
სს „საქართველოს ბანკი“ ქვეყანაში წამყვანი უნივერსალური ბანკია. ბანკს გააჩნია სამომხმარებლო საბანკო პროდუქტების ფართო სპექტრი, რომელთა გაყიდვა და გავრცელება ხდება ბანკის ფილიალების ფართო ქსელის მეშვეობით. ბანკი კორპორატიულ კლიენტებს სთავაზობს კომერციულ და საინვესტიციო საბანკო მომსახურების ფართო არჩევანს. ამასთანავე, ბანკის მიერ შესყიდული სადაზღვევო კომპანია „ბისიაი“ კორპორაციებს და ფიზიკურ პირებს (ახალი ბრენდის *ჩემბის* მეშვეობით) სადაზღვევო პროდუქტების ფართო სპექტრს სთავაზობს. 2006 წლის 31 ივლისის მდგომარეობით ბანკის აქტივებმა 756.1 მილიონი ლარი შეადგინა, ხოლო კაპიტალი 118.8 მილიონ ლარს გაუტოლდა. 2006 წლის პირველ ნახევარში ბანკის კონსოლიდირებულმა წმინდა მოგებამ 9.4 მილიონი ლარი შეადგინა. ბანკს გააჩნია B-/B; სტაბილური პერსპექტივა „FitchRatings“-გან, B3/NP უცხოური ვალუტის და Baa3/P-3 ადგილობრივი ვალუტის რეიტინგები სტაბილური პერსპექტივით „Moody’s“-გან და B+/B; სტაბილური პერსპექტივა „Standard & Poor’s”-გან.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით:

ლადო გურგენიძეს, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე	+995 32 444 103	lgurgenidze@bog.ge
ირაკლი გილაურს, გენერალური დირექტორი	+995 32 444 109	igilauri@bog.ge
ირაკლი ბურდილაძეს, გენერალური დირექტორის მოადგილე	+995 32 444 111	iburdiladze@bog.ge
მაკა ეკიზაშვილს, ინვესტორებთან ურთიერთობების ხელმძღვანელი	+995 32 444 256	ir@bog.ge